სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები,
ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია,
Proceedings of Sokhumi State University,
Humanities and Socio-Political Sciences Series, ტომი/ Vol. XXI, 2023-2024 წელი

ნიკო ჯავახიშვილი[1]
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

https://doi.org/10.52340/sou.2023.21.13

ქართლ-კახეთის სამეფოს თავად აფხაზთა გვარწარმომავლობის ისტორიიდან[2]

აბსტრაქტი. გამოკვლევაში, ისტორიულ საბუთებზე დაყრდნობით, დადგენილია, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს ერთ-ერთი წარჩინებული გვარი - თავადი *აფხაზები* წარმომავლობით არიან დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული რეგიონიდან - აფხაზეთიდან. საისტორიო წყაროების მიხედვით, ისინი წარმოადგენენ აფხაზეთის ერთ-ერთი წარჩინებული გვარის - ანჩაბაძის (იმავე აჩბას) განშტოებას, რომლის ერთ-ერთი წარმომადგენელი XVII საუკუნის შუა ხანებში კახეთში, კერძოდ, სოფელ კარდენახში დამკვიდრდა და საფუძველი ჩაუყარა *აფხაზების* წარჩინებულ საგვარეულოს.

ნაშრომში, ისტორიულ-შედარებითი მეთოდისა და წყაროების ციკლური შესწავლის საფუძველზე გაანალიზებულია XVII-XX საუკუნეებით დათარიღებული ქართული საისტორიო დოკუმენტები, რომლებშიც ამ საგვარეულოს წარმომადგენლები იხსენიებიან. დადგენილია, რომ ამ გვარმა საქართველოს არაერთი ღირსეული მამულიშვილი მისცა.

XX საუკუნის ოციანი წლებიდან საქართველოში განვითარებული პოლიტიკური პროცესების შედეგად, თავად აფხაზთა გვარის არაერთი წარმომადგენელი იძულებული გახდა, რომ სამშობლო დაეტოვებინა და უცხოეთში

---

[1] **ნიკო ჯავახიშვილი,** ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრი, აკადემიკოსი.

[2] მოხსენება წაკითხულია **ექვთიმე თაყაიშვილის** 160 წლისთავისადმი მიძღვნილ მესამე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე *„აფხაზეთის კულტურული ფასეულობანი: ენა, ლიტერატურა, კულტურა, ისტორია, სოციალური მეცნიერებანი განათლება“.* სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. 2023 წლის 22-23 დეკემბერი.

გახიზნულიყო, ამჟამად საქართველოში ამ გვარის მხოლოდ სამი ოჯახი ცხოვრობს.

საკვანძო სიტყვები: აფხაზთა გვარი, ანჩაბაძეთა გვარი, საქართველო, აფხაზეთი, კახეთი, კარდენახი.

Niko Javakhishvili[3]

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

From the history of the origin of the Abkhaz family of the Princes of the Kartli-Kakheti kingdom[4]

Abstract. Based on the historical sources of the study, it is established that one of the noble surnames of the Kingdom of Kartli-Kakheti - Prince Abkhazi (აფხაზი-/აბხაზი) is from one of the historical regions of West Georgia - Abkhazia (აფხაზეთი/Abkhazeti). They represent the branch of one of the noble surnames of Abkhazia - Anchabadze/Achba (ანჩაბაძე, აჩბა), the founder of which was established in Kakheti (East Georgia), in particular, in the village of Kardenakhi (კარდენახი) in the middle of the XVII century.

In the paper, on the basis of the historical-comparative method and the cyclical study of sources, Georgian historical documents dated from the XVII-XX centuries, in which the representatives of this lineage are mentioned, are analyzed. It is established that this surname has given Georgia many worthy ancestors.

As a result of the political processes developed in Georgia since the twenties of the 20th century, many representatives of the Abkhaz family were forced to leave their homeland and move abroad, currently only three families of this family live in Georgia.

Keywords: Abkhaz family, Anchabadze family, Georgia, Abkhazia, Kakheti, Kardenakh.

შესავალი. საქართველოს ერთ-ერთი წარჩინებული ფეოდალური საგვარეულოს - თავად აფხაზთა გვარის ფუძემდებელი კახეთში XVII საუკუნის შუა ხანებში დამკვიდრდა. ამ გვარმა საქართველოს არაერთი ღირსეული სამხედრო-პოლიტიკური მოღვაწე მისცა.

---

[3] **Niko Javakhishvili,** Doctor of Historical Sciences, Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Foreign member of Latvian Academy of sciences, Academician.

[4] The report was read at the third international scientific conference dedicated to the 160th anniversary of **Ekvtime Takaishvili** *"Cultural values of Abkhazia: language, literature, culture, history, social sciences and education".* Sokhumi State University, Korneli Kekelidze National Manuscript Center. December 22-23, 2023.

აფხაზთა გვარის წარმომადგენლები ქართულ საისტორიო წყაროებში XVII საუკუნის შუა ხანებიდან უწყვეტად მოიხსენიებიან. ამ საგვარეულოსა და მისი ცალკეული წარმომადგენლების შესახებ საკმაოდ ბევრი ცნობაა შემონახული როგორც ქართულ, ასევე უცხოურ საისტორიო წყაროებსა და ლიტერატურაში.

დისკუსია. საყურადღებო ინფორმაციაა დაცული ნაშრომებში, რომელთა ავტორებიც არიან: მაქსიმე ბერძნიშვილი (ბერძნიშვილი, 1980: 158-166), უშანგი სიდამონიძე (სიდამონიძე, 1997: 256-257), ოთარ ჭურღულია (ჭურღულია, 1983: 202-205), გელა საითიძე (საითიძე, 1997, საითიძე, 2008), ოთარ ჟორდანია, (ჟორდანია, 1997: 256), ქართული გენეალოგიური საზოგადოების პრეზიდენტი, საერთაშორისო გენეალოგიური აკადემიის აკადემიკოსი იური ჩიქოვანი და მოსკოვის საისტორიო-გენეალოგიური საზოგადოების თავმჯდომარე სტანისლავ დუმინი (Думин, Гребельский, 1998: 99-10), ოთარ ჯანელიძე (ჯანელიძე, 2018: 43-44), ასევე, ამ სტრიქონების ავტორი (Джавахишвили , 2003: 74-75; ჯავახიშვილი, 2009: 45-62).

მიუხედავად ამისა, დღემდე არ შექმნილა მონოგრაფიული გამოკვლევა, რომელშიც ხსენებული გვარის ისტორია ერთიანობაში იქნებოდა შესწავლილი.

***

თავად აფხაზთა საგვარეულო სათავეს იღებს საქართველოს ერთ-ერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული კუთხიდან - აფხაზეთიდან. როგორც ჩვენი კვლევა-ძიებით დადგინდა, ეს გვარი წარმოადგენს აფხაზეთის წარჩინებული საგვარეულოს - თავად ანჩაბაძეთა ერთ-ერთ განშტოებას (ჯავახიშვილი, 2009: 45-62).

ცნობილია, რომ მდინარე ენგურს გაღმა-გამოღმა მიდამოებში ხშირად სახლდებოდა აფხაზი და ქართველი თავადაზნაურობა და გლეხობა, რომელთა შორის თავად ანჩაბაძეთა გვარის წარმომადგენლებიც იყვნენ (ჭურღულია, 1983: 102).

ქართულ საისტორიო წყაროებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ თავად აფხაზთა გარდა, ანჩაბაძეთა ერთ-ერთი საგვარეულო განშტოებაა ასევე მაჩაბელთა გვარი, რომელიც ქართლის ერთ-ერთ გავლენიან, ფეოდალურ გვარს წარმოადგენდა (გვრიტიშვილი, 1955: 407).

თავად მაჩაბელთა გვარის ცალკეულ წარმომადგენელთა შესახებ ქართულ საისტორიო წყაროებში მრავალი ცნობაა შემონახული. ამ მხრივ განსაკუთრებით პაპუნა ორბელიანის თხზულება გამოირჩევა (ორბელიანი, 1981).

ვახუშტი ბაგრატიონი (1696-1756) თავის თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ მაჩაბლების საგვარეულოს შესახებ წერს, რომ „მაჩაბელი იტყჳს ანჩაფიძეობას, აფხაზეთიდამ მოსლვას, გარნა ახალი არს“ (ბატონიშვილი, 1973: 34).

თავისი ნაშრომის სხვა ადგილას ვახუშტი ბატონიშვილი თავად ანჩაბაძეთა საგვარეულოს აფხაზეთის მთავარ შარვაშიძეთა შემდეგ - „ანჩფაძის“ ფორმით მოიხსენიებს (ბატონიშვილი, 1973: 36).

უფლისწული იოანე ბაგრატიონი (1768-1830) თავის თხზულებაში „შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა“ თავად მაჩაბელთა შესახებ აღნიშნავს, რომ აფხაზეთიდან ქართლში გადასახლებული „ანჩაფაძეები“ მეფე გიორგიმ მდინარე ლიახვის ხეობაში დაასახლა და გვარად - „მაჩაბელი“ უბოძა (ბაგრატიონი, 1997: 26). მაჩაბელთა წარმომავლობის შესახებ აქ საუბარს აღარ გავაგრძელებთ, რადგან აღნიშნული საკითხი შეისწავლა არაერთმა მკვლევარმა, მათ შორის, გიორგი ანჩაბაძემ (ანჩაბაძე, 2009: 230-241).

იოანე ბაგრატიონმა თავის ზემოხსენებულ ნაშრომში ჩამოთვლილ კახეთის 24 სათავადო გვარს შორის თავად აფხაზიშვილთა (ანუ აფხაზთა) საგვარეულო საკმაოდ მოწინავე, მეათე ადგილას დაასახელა და მათი წარმომავლობის შესახებ აღნიშნა: „ესენი არიან აფხაზეთიდგან მოსრულნი, ოდეს იწყეს მამადიანობა აფხაზთა. ესენი მოვიდნენ კახეთსა და მეფემან თეიმურაზ მიიღო თავადობისა ხარისხითა აფხაზად წოდებულნი, რომელნიც იწოდებიან აწ აფხაზის შვილებად და უბოძა კარდანეხს სახასო მამულნი და ყმანი და მუნ სცხოვრებენ მუნ ჟამიდგან წელსა 1636-სა და არიან ერთ სახლად“ (ბაგრატიონი, 1997: 42).

აქვე დავსძენთ, რომ სოფელი კარდენახი (იგივე კარდანეხი) - შუაგულ კახეთში, თანამედროვე გურჯაანის მუნიციპალიტეტში მდებარეობს.

თავად აფხაზთა წარმომავლობის თაობაზე იგივეს იუწყებოდა ალექსანდრე ხახანაშვილიც (1864-1912), რომელიც 1893 წელს, მოსკოვში გამოცემულ წიგნში წერდა: „Кн. Абхазовы из Абхазии прибыли в Кахетию при царе Теймуразе и были приняты князьями с назначением владений в Карданах“ (Грузинские дворянские акты, 1893: VI).

საყურადღებოა, რომ არც იოანე ბატონიშვილი და არც ალექსანდრე ხახანაშვილი არაფერს იუწყებიან თავად აფხაზთა თავდაპირველი გვარის შესახებ. საინტერესოა, რომელი საისტორიო წყაროებიდან ირკვევა, თუ რა იყო თავად აფხაზთა პირვანდელი გვარი?

ლეგენდას, ვითომდაც თავად აფხაზთა საგვარეულო - შარვაშიძეთაგან მომდინარეობს, საფუძველი XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ჩაეყარა. ეს ზეპირი გადმოცემა, რომელიც თავად ივანე დიმიტრის ძე აფხაზისაგან (1858-?) ყოველგვარი წყაროს მითითების გარეშე ჩაიწერა იმხანად კავკასიაში მყოფმა მკვლევარმა ევგენი გუსტავის ძე ვეიდენბაუმმა (1845-1918), ამჟამად კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ ვეიდენბაუმის კარტოთეკაში ინახება. აღნიშნულ ცნობაში ვკითხულობთ: „Абхазы, илисрусскимокончаниемАбхазовы, грузинские князья

ведут своеначало от абхазских Шервашидзе. Один из Шервашидзе переселился при грузинском царе Ростомев 1632 г. Из Абхазии в Кахетию, получил там поместье и прозвание Абхази“ (ხეც, ვეიდენბაუმის კარტოთეკა).

1892 წლის 12 ივნისს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნდა პ. ცხვილოელის სტატია „ლევან ბატონიშვილის სიკვდილი ს. ვეჯინში“, რომელშიც ვკითხულობთ: „XVII საუკუნის დამდეგს აფხაზეთი აიკლეს და დაიმორჩილეს ოსმალებმა, რომელთა წყალობით ბატონობა დაიწყეს სამეგრელოს დადიანებმა. ამისათვის ერთი წარმომადგენელი შარვაშიძის საგვარეულოსი გადმოვიდა კახეთში და მეფისაგან მიებოძა ერთ-ერთის ამოწყვეტილის ვაჩნაძის მამული ს. კარდანეხში. ამის გამო, ამ დროდანვე ჰსუფევდა დაუძინებელი მტრობა აბხაზსა და ვაჩნაძეებს შორის“ (ივერია, 1892: 1).

ხსენებულ გაზეთს რედაქტორობდა დიდი ილია ჭავჭავაძე (1837-1907), რომლის უფროსი და ნინო ცოლად ჰყავდა კარდენახელ თავად ნიკოლოზ შერმაზანის ძე აფხაზს (1828-1907). ასე რომ, თავად ჭავჭავაძეთა გვარის ყვარლის განშტოება და თავად აფხაზთა გვარი დანათესავებულნი იყვნენ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ერთი შეხედვით, თითქოსდა დამაჯერებელი ჩანდა ვერსია, რომ თავადი აფხაზების გვარი სათავეს შარვაშიძეთა საგვარეულოდან იღებს, მაგრამ ამ მიმართულებით წარმოებულმა კვლევა-ძიებამ სრულიად სხვა რეალობა წარმოაჩინა. კერძოდ, გაირკვა, რომ აღნიშნული გვარის ფუძემდებელია არა შარვაშიძე (აფხაზურად - *ჩაჩბა),* არამედ წარჩინებული აფხაზი თავადი ანჩაბაძე (აფხაზურად - *აჩბა*), რომელიც XVII საუკუნის შუა ხანებში კახეთში გადასახლდა.

კახეთში გადასახლებული აფხაზი თავადის შთამომავლობას ახსოვდა, რომ მათი წინაპარი აფხაზეთის მმართველთა გვარიდან იყო. ვინაიდან XII-XIX საუკუნეთა განმავლობაში აფხაზეთს განაგებდნენ შარვაშიძეთა საგვარეულოს წარმომადგენელნი, რომლებიც თავდაპირველად ერისთავები, ხოლო შემდეგ მთავრები იყვნენ (Чиковани, 2007: 7-25), როგორც ჩანს, თავად აფხაზთა გვარის ზოგიერთმა წარმომადგენელმა და მათ შორის ზემოხსენებულმა ივანე დიმიტრის ძე აფხაზმაც ჩათვალა, რომ აფხაზეთიდან კახეთში გადასახლებული მათი წინაპარიც ამ გვარიდან უნდა ყოფილიყო.

აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ აფხაზეთს შარვაშიძეთა გვარზე ადრე მართავდა ანჩაბაძეთა ძლიერი ფეოდალური საგვარეულო. არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმადაც „შარვაშიძე“ იყო არა გვარი, არამედ აფხაზთა მთავრების ტიტული, რომელიც ამ წოდების მფლობელებს გაუგვარდათ.

აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია წერდა: „შესაძლოა ვიფიქროთ, რომ მერმინდელი შარვაშიძეები გენეალოგიურად არ იყვნენ დაკავშირებულნი ამ გვარის სახელის უძველეს მატარებლებთან. ფეოდალური ძალმომრეობის ხანაში რა გასაკვირი იქნებოდა, რომ მთავრის უფლება ერთი საგვარეულოდან

მეორეში გადასულიყო თვით „შარვაშიძის“ გვარის სახელთან ერთად, რომელსაც ამ შემთხვევაში სამთავრო ტიტულის მნიშვნელობა ჰქონდა. ასეთ მოვლენას მეზობელ სამეგრელოშიც ვხედავთ, სადაც გვარის სახელი „დადიანი“ ოდიშის მფლობელის წოდებად იქცა და სადაც დადიანობას სხვადასხვა გვარი ითვისებდა სხვადასხვა დროს (უკანასკნელი დადიანები ჩიქვანთა საგვარეულოდან არიან)... ჩაჩბებზე ადრე „შარვაშიძეობა“ ანჩაბაძეთა საგვარეულოს ხელში უნდა ყოფილიყო; ამაზე მიუთითებს აფხაზური თქმულება, რომ წინათ აფხაზეთში ანჩაბაძეთა (აჩბების) საგვარეულო პირველობდა და ისეთი ანდაზებიც, როგორც მაგ.:„აჩბა უმჰიაკუა, ჩაჩბა უზჰიომ“, ე. ი. „ჯერ აჩბა სთქვი და შემდეგ ჩაჩბაო“ (შარვაშიძე, 1946: 27-28).

თავად აფხაზთა გვარის წარმომავლობა თავად ანჩაბაძეთაგან დასტურდება როგორც საისტორიო წყაროებით, ასევე გენეალოგიური მონაცემებითაც. მეფე როსტომის (მეფობდა 1632-1658 წლებში-ქართლში, ხოლო 1648-1656 წლებში-გაერთიანებულ ქართლ-კახეთში) მიერ 1653 წელს გაცემულ სიგელში ნათქვამია, რომ ის ებოძა *„ჩუენს ერთგულს და გაზდილს ანჩაბაძეს აფხაზს გიორგის“* (ხეც, საბუთი Qd -1653). აქედან მისი ნამდვილი გვარი უკვე დოკუმენტურად ირკვევა.

ეს საბუთი საუკუნეზე მეტი ხნის წინათ გამოაქვეყნა აკადემიკოსმა ექვთიმე თაყაიშვილმა (თაყაიშვილი, 1909: 71-72). სიგელიდან ნათელი ხდება, რომ მეფემ გიორგი იოანეს ძე ანჩაბაძე-აფხაზს ცოლად შერთო თავად დავით გოშფარიშვილის ობოლი ასული და დაუმტკიცა მისი გარდაცვლილი სიმამრის კუთვნილი მამული (ლექსიკონი I, 1991: 160), რომელიც კახეთის სოფელ კარდანახში მდებარეობდა. აქვე უნდა ითქვას, რომ ამ საბუთში გოშფარიშვილად მოხსენიებული დავითი იყო ვაჟი თავად გოშფარ (იმავე გოშპარ) ვაჩნაძისა (ლექსიკონი II, 1993: 181).

ასე რომ, თავად გიორგი იოანეს ძე ანჩაბაძეს მეფემ კახეთში მამული უბოძა და მისივე წარმომავლობიდან გამომდინარე, გვარად - „აფხაზი“ დაუმკვიდრა.

1895 წლის 28 ნოემბერს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნდა სტატია აფხაზთა გვარის შესახებ, სათაურით „თავადნი აფხაზნი (ანჩაბაძე-აფხაზნი)“ (ივერია, 1895, 257: 2), რომელშიც გარკვევითაა დაფიქსირებული თავად აფხაზთა პირვანდელი გვარი.

ამ ცნობაზე დაყრდნობით ოთარ ჭურღულია მიუთითებდა: „მაშასადამე, ირკვევა, კახელ აფხაზთა წინაპარი ყოფილა გიორგი-ბეგ აფხაზი. აქ აფხაზი აშკარად მიუთითებს ეროვნულ წარმოშობაზე. ისტორიამ იცის ასეთი მაგალითები. ნიმუშისათვის დავასახელებთ რამდენიმეს: XVIII საუკუნეში რუმინეთში მოღვაწე ქართველი კაცი, ცნობილი სასულიერო პიროვნება იწოდებოდა ანტონ ივერიანუდ - ანთიმოზ ივერიელად. ასევე მეფის მთავრობამ

ბევრ ქართველ თავადიშვილს - ბაგრატიონებსა და დადიანებს მათი ქვეყნის მიხედვით მისცა გვარიც - გრუზინსკი, იმერეტინსკი, მინგრელსკი.

ზემოაღნიშნული ბეგ-აფხაზიც მიუთითებს აფხაზეთიდან მოსულ პიროვნებაზე. გიორგი აფხაზს და მის შთამომავლობას კახეთში მაგრად მოუკიდნიათ ფეხი...კახელი „აფხაზები“ წარმოშობით აფხაზეთიდან ყოფილან, გვარად ანჩაბაძეები... ე. ი. პირვანდელი გვარია ანჩაბაძე, სახელია გიორგი, ხოლო შემდეგ წარმოშობის აღმნიშვნელი სიტყვა - „აფხაზი“ ქცეულა გვარად (ჭურღულია, 1983: 204-205).

ქართული გენეალოგიური საზოგადოების პრეზიდენტმა იური ჩიქოვანმა გენეალოგიური კვლევის საფუძველზე დაადგინა, რომ თავად აფხაზთა თავდაპირველი გვარი ნამდვილად ანჩაბაძე იყო. ამასვე ადასტურებენ თვით თავად აფხაზთა თანამედროვე შთამომავლებიც, რომლებიც თავიანთ ოჯახებში შემორჩენილ საგვარეულო გადმოცემას ეყრდნობიან.

თავად აფხაზთა წარმომავლობის შესახებ თავად ანჩაბაძეთაგან ჯერ კიდევ 2003 წელს ვწერდით (Джавахишвили, 2003: 74).

აფხაზთა საგვარეულოს წარმომადგენლები XVII საუკუნის შუა ხანებიდან უწყვეტად მოიხსენიებიან ქართულ საისტორიო წყაროებში, მათ შორის, როსტომ მეფის მიერ სხვადასხვა დროს გაცემულ სიგელებში.

საისტორიო წყაროებიდან 1646-1659 წლებში ჩანს ზემოხსენებულ გიორგი ანჩაბაძე-აფხაზის მამა - იოანე (იოვანე, ივანე) აფხაზი (ხეც, საბუთი, Sd-748), რომელიც იყო მესტუმრე ქართლის სამეფო კარისა (1654-1659 წლებში). იგი სამეგრელოს (იმავე - ოდიშის) მთავარმა ლევან II დადიანმა (მთავრობდა 1611-1657 წლებში) მზითვად გააყოლა თავის დას მარიამს, რომელიც ცოლად გაჰყვა მეფე როსტომს (ლექსიკონი I, 1991: 193-194).

საინტერესოა თვით იოანე ანჩაბაძე-აფხაზის წარმომავლობა. ის წარმოშობით უნდა ყოფილიყო აფხაზეთიდან, სადაც სამეგრელოს მთავრები და მათ შორის ლევან II-ც ხშირად ლაშქრობდა. ამიტომ, შესაძლებელია, რომ იოანე ყოფილიყო ან ტყვე, ანდა ტყვედ წამოყვანილი აფხაზი თავადის - ანჩაბაძის შთამომავალი. ფაქტი ერთია, რომ მარიამ დადიანისათვის მზითვად გატანების პერიოდში იოანე ანჩაბაძე წარმოადგენდა მთავარ ლევან II-ის ყმას.

1646 წელს როსტომ მეფემ იოანე აფხაზს უწყალობა ამოვარდნილი სეხნია საგინაშვილის მამულები, რომლებიც მდებარეობდა ქვემო ქართლში, საბარათიანოში, კერძოდ: მაწევანში, სთონეთში, ხრამსა და ირდასუბანში, ჯიმშიტა მოლარის მამულის გამოკლებით, ხოლო 1654 წელს - ასევე ამოვარდნილი აღათანგ საგინაშვილის მამული (ხეც, საბუთი, Sd-748).

1658 წლის 13 ივლისს როსტომ მეფემ იოანე აფხაზს ზემოხსენებული მამულების წყალობა განუახლა (ლექსიკონი, I, 1991: 194).

იოანე შანშეს ძე აფხაზს ჰყავდა მეუღლე ოქროქალი და შვილები: ქაიხოსრო, გიორგი, ჩერქეზ (ლექსიკონი I, 1991: 193-194) და შანშე.

1654 წლის 11 მარტს „დედოფლის მესტუმრემ“ იოანე აფხაზმა აზნაურ მერაბ ყორღანაშვილს მიჰყიდა ამოვარდნილი აზნაურის აღათანგ საგინაშვილის მიერ გაზრდილი მისი მკვიდრი ყმა, სთონეთის მკვიდრი ფირია, რომელიც თავისი ახალი მებატონის მიერ აშენებულ სოფელ მოქრისში დასახლდა (ძეგლები, VIII, 1985: 841).

1657 წელს იოანე აფხაზი იხსენიება მოწმედ შერმაზან ბარათაშვილის მიერ ერასტი ბარათაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (ლექსიკონი, I, 1991: 194).

1658 წლის 7 ნოემბრით დათარიღებული დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ქართლის დედოფალმა მარიამმა სამეგრელოს სამთავროში მიმავალ თავის ძმისწულ ლიპარს თან იოანე აფხაზიც გააყოლა (ლექსიკონი, I, 1991: 194).

1659 წლის 28 სექტემბერს ქართლის მეფემ ვახტანგ V-მ (შაჰნავაზმა) იოანე აფხაზს უწყალობა ჩხიკვთას მაჩიტა, სუხიტა და ჯიმშიტა შიოშაშვილები მამულით (ლექსიკონი, I, 1991: 194).

იოანე აფხაზის ერთ-ერთი ძე - გიორგი - საისტორიო საბუთებში 1653-1683 წლებში იხსენიება (ლექსიკონი, I, 1991: 160)... როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ის იყო როსტომ მეფის მიერ აღზრდილი (საბუთში წერია -„გაზრდილი“) და ზოგიერთ დოკუმენტში იხსენიება როგორც - ანჩაბაძე-აფხაზი (თაყაიშვილი, 1909, 72).

მეფე როსტომის მიერ 1654 წლის 12 აპრილს გაცემულ სიგელში და სპარსეთის შაჰინშაჰ აბას II სეფიანის მიერ 1655 წელს გაცემულ ფირმანში გიორგი იოანეს ძე ანჩაბაძე-აფხაზი იხსენიება როგორც „გიორგი ბეგ-აფხაზი“ (Думин, Гребельский 1998, с. 99).

საისტორიო საბუთებში იხსენიებიან გიორგი აფხაზის ვაჟები: იოანე (ივანე), ზურაბ, ავთანდილ, პაატა, დავით (დათუნა) და ოთარ აფხაზები (ლექსიკონი, I, 1991: 193-194).

აფხაზთა გვარის წარმომადგენლები ზოგჯერ „აფხაზისშვილებად“ ანდა „აბხაზიშვილებად“ იხსენიებიან. მაგალითად, XVII საუკუნის 70-80-იან წლებში გაცემულ სიგელებში გიორგი აფხაზი ასე იხსენიება.

ხსენებულ პერიოდში გაცემული საბუთიდან ირკვევა, რომ იმხანად, გიორგი აფხაზიშვილი იყო ქვემო ქართლელი თავადების ყაფლანიშვილთა (იგივე ორბელიანთა) აზნაურიშვილი. ის თამაზ ყაფლანიშვილთან ერთად მონაწილეობდა ბარათაშვილ-იოთამიშვილებსა და დოლენჯიშვილებს შორის არსებული სამამულე დავის გარჩევაში (ლექსიკონი, I, 1991: 194).

1690 წლის 23 მაისით დათარიღებული საბუთიდან ირკვევა, რომ გიორგი აფხაზის უფროსი ვაჟი, სამეფო კარის მესტუმრე იოანე აფხაზი იყო მოწმე

პაპუა ლამაზასშვილის მიერ ქაიხოსრო აბაშისშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (ლექსიკონი, I, 1991: 193).

1683 წლის 20 იანვარს კახეთის მეფე არჩილ II-მ აფხაზთა საგვარეულოს ერთ-ერთ წარმომადგენელს უბოძა ამოწყვეტილი თავადის ელიზბარ ვაჩნაძის მამულიდან ერთი კომლი კაცი (ლექსიკონი, I, 1991: 193).

ქართლის მეფე გიორგი XI-ის მიერ 1685-1694 წლებში გაცემული საბუთიდან ირკვევა, რომ მან აფხაზთა საგვარეულოს ერთ-ერთი წარმომადგენლის ნაქონი მამული საყმოდ უწყალობა თავად როშაქ ჩოლაყასშვილს (ხეც, საბუთი, Hd-2286).

1689 წლის 15 ნოემბრით დათარიღებული საბუთიდან ნათელი ხდება, რომ აფხაზთა საგვარეულოს ერთ-ერთი წარმომადგენლის მამული (ხოდაბუნი) ესაზღვრებოდა ოთარ ჯიმშიტაშვილის მიერ ქაიხოსრო ავთანდილიშვილისათვის მიყიდულ მიწას (ლექსიკონი I, 1991: 194).

1696 წლის 28 ოქტომბერს გიორგი აფხაზის ერთ-ერთი ვაჟის - ზურაბის ნაქონი მამული ქალბალი-ხანმა უბოძა გურგენ და დემეტრე-ბეგ მილახვრებს (ხეც, საბუთი Hd-142).

გიორგი აფხაზის უმცროსი ძმა, ყაფლანიშვილთა აზნაურიშვილი შანშე 1696-1700 წლებში გაცემულ საბუთებში ასევე იხსენიება, როგორც - „აფხაზისშვილი“. დოკუმენტის თანახმად, მას ჰყოლია ძე ივანე და ძმისწულები ავთანდილი და პაატა (ლექსკონი, I, 1991: 1994).

შანშეს ყმებს - ესტატე და ივანე შიოშაშვილებს ნატაცები საქონლის ვალი ჰქონდათ. ისინი თავიანთი ნებით მიუვიდნენ სულხან ბარათაშვილს, რომელმაც შიოშაშვილები 1696 წლის 26 მაისს შეისყიდა შანშესაგან და თან ხსენებული ვალიც გადაუხადა (ხეც, საბუთი, Sd-562).

1699 წელს შანშე აფხაზიშვილი იყო მოწმე შერმაზან ხურდაყულიშვილის მიერ პაპუა ორბელიშვილისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა, ხოლო 1700 წლის 23 მარტს - ავთანდილ საგინაშვილის მიერ აბადარბაშ ბეჟანისათვის მიცემული ყმის ნასყიდობის წიგნისა (ლექსიკონი, I, 1991: 194).

კახეთის მეფის დავით II-ის ანუ იმამ-ყული ხანის (მეფობდა 1709-1722 წლებში) მიერ 1710 წლის 11 მაისს დამტკიცებულ განჩინებაში აღნიშნულია, რომ ზურაბ და დურმიშხან ვაჩნაძეები (ბებურიშვილები) და დათუნა (დავით) გიორგის ძე აფხაზიშვილი ერთმანეთს კარდენახის ბოლოს მდებარე სახნავ მიწას ედავებოდნენ. მეფის ბრძანების შესაბამისად, ქიზიყის მოურავის შვილმა, ეშიკაღასბაშმა პაატა ანდრონიკაშვილმა მოდავე მხარეები ფიცით შეარიგა და აღნიშნული ტერიტორია თავად ვაჩნაძეთა სარგებლობაში დატოვა (ძეგლები, IV, 1972: 230-231).

ზემოხსენებული დათუნა და მისი ძმა ოთარ გიორგის ძე აფხაზები თავადებად იხსენიებიან მეფე თეიმურაზ II-ის (მეფობდა 1733-1744 წლებში - კახეთში, ხოლო 1744-1761 წლებში - ქართლში) მიერ 1738 წლის 1 სექტემბერს გაცემულ სიგელში (Думин, Гребельский, 1998: 99).

1743 წლის 3 მარტის განჩინებით, დათუა დესპუაშვილთან დავაში ივანე აფხაზიშვილი გამართლდა და მის მფლობელობაში დარჩა მისი მაწევნელი ყმა იობა როზიაშვილი, თავისი მამულითურთ (ძეგლები, IV,1972: 354).

1755 წლის 4 ივლისის განჩინებით გადაწყდა, რომ თუ მდივანი ოთარი წლის განმავლობაში ვერ წარადგენდა ივანე აფხაზის ყმობიდან ივანე თანდილაშვილის თავდახსნის საბუთს, ეს უკანასკნელი კვლავ თავად აფხაზის ყმობაში დარჩებოდა (ძეგლები, IV, 1972: 442-443).

1762 წლამდე არსებულ კახეთის სამეფოში, შემდეგ კი ქართლ-კახეთის გაერთიანებულ სახელმწიფოში სხვადასხვა დროს გაიცა თავადი აფხაზების უძრავ-მოძრავ ქონებასთან დაკავშირებული ცალკეული საბუთები, რომელთაც ზოგჯერ თვით მეფე, ხოლო ზოგჯერ უფლისწულები ამტკიცებდნენ. მათ შორის იყო არზები (ჩამოთვლილია ქრონოლოგიური თანამიმდევრობით), რომელთაც ერთვის ერეკლე II-ის (1744 წლიდან მეფობდა კახეთში, ხოლო 1762-1798 წლებში - გაერთიანებულ ქართლ-კახეთში) ოქმი: 1769 წლის 4 მაისისა - ოთარ აფხაზიშვილისა ყმის თაობაზე (ძეგლები, VII, 1981: 148-149), 1783 წლის 14 სექტემბრისა - დავით აფხაზიშვილისა მამულის თაობაზე (ძეგლები, VII, 1981: 601-602), 1784 წლის 20 მარტისა - ბერი აფხაზიშვილისა მამულის თაობაზე (ძეგლები, VII, 1981: 615), 1795 წლის 23 დეკემბრისა - ივანე აფხაზიშვილისა ყმის თაობაზე (ძეგლები, VIII, 1985: 346-347), არზა 1793 წლის 4 ოქტომბრისა - ნიკოლოზ აფხაზისა ყმის თაობაზე ვახტანგ/ალმასხან ბატონიშვილის ოქმით (ძეგლები, VIII, 1985: 243), არზები ქართლ-კახეთის მეფის გიორგი XII-ის (მეფობდა 1798-1800 წლებში) ოქმით: 1799 წლის 27 ივლისისა - იაკოფისა და გელასი სამართლის მიცემაზე (ძეგლები, VIII, 1985: 562-563) და 1800 წლის 9 მარტისა - ნიკოლოზ აფხაზისა ყმის თაობაზე (ძეგლები, VIII, 1985: 611-612), არზა 1800 წლის 23 მაისისა - ნინია აფხაზიშვილისა ოქმის ბოძების თაობაზე ტახტის მემკვიდრე დავით ბატონიშვილის ოქმით [57, 643], ასევე განჩინებანი: 1785 წლის 4 ივლისისა - იოანე შალიკაშვილისა და ნიკოლოზ აფხაზის სახლის საქმეზე (ძეგლები, V, 1974 : 306-307), 1786 წლის 15 სექტემბრისა - ნიკოლოზ აფხაზის ყმის ელიბო გაგელიძის საქმეზე (ძეგლები, V, 1974: 335), 1787 წლის 31 მაისისა - ნიკოლოზ აფხაზისა და მირზაშვილების ყმის საქმეზე (ძეგლები, V, 1974: 374-375), 1788 წლის 11 ივლისისა - ზაქარია მოურავისა და დავით აფხაზის ყმების საქმეზე (ძეგლები, V, 1974: 421-424), 1788 წლის 1 აგვისტოსი - ნიკოლოზ აფხაზის ყმის სამუტაშვილის საქმეზე (ძეგლები, V, 1974 : 424-425) და სხვ.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართლ-კახეთის თავადთა შორის საკმაოდ დაწინაურდა აფხაზების საგვარეულო, რომელიც მეფისა და სამშობლოს მიმართ განსაკუთრებული ერთგულებით გამოირჩეოდა. მეფისადმი წარდგენილი თავად აფხაზთა არზები ტრადიციულად იწყება შემდეგი სიტყვებით: „ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი აფხაზისშვილს ოთარს მოსცეს“ (ძეგლები, VII, 1981: 234), „ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს დავით აფხაზიშვილსა“ (ძეგლები, VII, 1981: 601), „ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს აფხაზისშვილს ბერსა“ (ძეგლები, VII, 1981: 615) და სხვ.

ყოველივე ზემოთქმულის გამო, თავად აფხაზებს დიდად სწყალობდნენ ბაგრატოვანი ხელმწიფენიც, განსაკუთრებით ერეკლე II და გიორგი XII (მეფობდა 1798-1800 წლებში).

ყმა-მამულთან დაკავშირებით თავად აფხაზებთან მეტოქეობა ჰქონდათ მათ მეზობლად მცხოვრებ თავად ვაჩნაძეებს, რომელთა შორისაც იყვნენ ცალკეული საგვარეულო განშტოებები: ბებურიშვილები (ბებურ ვაჩნაძის შთამომავლები), ონანაშვილები (ონანა ვაჩნაძის შთამომავლები) და სხვ. ამ ფეოდალური საგვარეულოს წარმომადგენლებს ქართველი მეფენი ასევე დიდად სწყალობდნენ. ამის დამადასტურებელია ბაგრატოვან ხელმწიფეთა მიერ გაცემული სიგელები, როგორც საკუთრივ ვაჩნაძეებისადმი (ლექსიკონი, II, 1993: 180-182), ასევე მათი საგვარეულო განშტოებების შთამომავლებისადმი.

ვაჩნაძეებისა და აფხაზების საგვარეულოებს შორის ხანგრძლივი დროის განმავლობაში არსებული დავის დამადასტურებელია არაერთი იმდროინდელი დოკუმენტი. მათ შორის არის არზები, რომელთაც ერთვის ერეკლე II-ის ოქმი: 1772 წლის 20 ოქტომბრისა - ასლან ბებურიშვილისა მამულის თაობაზე (ძეგლები, VII, 1981: 222-223), 1773 წლის 20 მაისისა - ოთარ აფხაზიშვილისა მამულის თაობაზე (ძეგლები, VII, 1981: 234-235), 1774 წლის 16 იანვრისა (საბუთები, 2008: 97), და 1775 წლის 29 მაისისა (ძეგლები, VII, 1981: 290-291) - ლუარსაბ ონანაშვილისა მამულის თაობაზე, 1776 წლის 9 იანვრისა - დავით აფხაზისა მამულის თაობაზე (ძეგლები, VII, 1981: 322-323), 1776 წლის 16 იანვრისა - ლუარსაბ ონანაშვილისა მამულის თაობაზე (ძეგლები, VII, 1981: 325), 1777 წლის 31 იანვრისა - ლუარსაბ ონანაშვილისა და ქაიხოსრო ბებურიშვილისა მამულის გაყოფის თაობაზე (ძეგლები, VII, 1981: 365-366), 1778 წლის 18 ივნისისა - დავით აფხაზიშვილისა მამულის თაობაზე (ძეგლები, VII, 1981: 412), 1791 წლის 17 ოქტომბრისა - დავით აფხაზისა მამულის თაობაზე (ძეგლები, VIII, 1985: 129-130), 1796 წლის 8 დეკემბრისა - ლუარსაბ ყორიასაულბაშისა მამულის თაობაზე (ძეგლები, VIII, 1985: 399-400), ასევე განჩინებანი: 1777

წლის 14 იანვრისა - ლუარსაბ ონანაშვილისა და დავით აფხაზის მამულის თაობაზე (ძეგლები, V, 1974: 20-21), 1778 წლის 20 თებერვლისა - ლუარსაბ ონანაშვილისა, ქაიხოსრო ბებურიშვილისა და ზურაბ აფხაზის მამულის საქმეზე (ძეგლები, V, 1974: 48-50) , 1779 წლის 11 მარტისა - ვაჩნაძიანთა და დავით აფხაზის მამულის საქმეზე (ძეგლები, V, 1974: 75-76), 1783 წლის 31 აგვისტოსი - დიკასტერიისა დავით აფხაზის ყმის სოროზანაშვილების საქმეზე (ძეგლები, V, 1974: 667-668), 1792 წლის 19 აპრილისა - ვაჩნაძიანთა და დავით აფხაზის მამულის საქმეზე (ძეგლები, V, 1974: 568), 1797 წლის 9 მარტისა - იოანე აფხაზიშვილისა და ლუარსაბ ყორიასაულბაშის მამულის საქმეზე (ძეგლები VI, 1977: 20-21), 1799 წლის 20 მაისისა - ლუარსაბ ონანაშვილისა და დავით აფხაზის მამულის საქმეზე (ძეგლები VI, 1977: 121-122) და სხვ.

მამულთან დაკავშირებით ატეხილ დავას, მეფე, ხშირად, თავად აფხაზთა სასარგებლოდ წყვეტდა.

1760 წლის 29 ნოემბრით დათარიღებულ განჩინებას დავით მოურავის შვილისა და დავით აფხაზის მამულის (ბაგის) საქმეზე, ახლავს მეფე ერეკლე II-ის შემდეგი დამტკიცება: „ჩვენ, მეფე ირაკლი ამ სამართალს ვამტკიცებთ. ან დავით აფხაზმა თითონ შეჰფიცოს ან თავის კაცი რაზია შეჰფიცოს. ფიცში ასე ჩაიტანოს: „აბელ მოურავს არც ამისთვის მამული ეშოვნოს და არც ფასი მიეცეს“. თუ ასე დაიფიცა ან კაცი შეაფიცა, ის ბაგა აფხაზ დავითს დარჩება. და თუ არ იფიცა, მოურავის შვილისა იქნება. იასაულო, ეს ასე გაარიგე“ (ძეგლები, IV 1972: 478-479).

1773 წლის 20 მაისით დათარიღებულ არზას, რომელშიც ოთარ აფხაზიშვილი ითხოვდა კუთვნილ ბაგას, ფიცით დამტკიცებულს ზაქარია მოურავის შვილთან დავის დროს, ერთვის ერეკლე II-ის შემდეგი რეზოლუცია: „ჩვენი ბძანება არის! მერმერადგან დაეფიცნათ, ამ არზის პატრონებს (იგულისხმება ოთარ აფხაზი. ნ. ᲧᲐ.), დარჩათ ეს ბაგა, ამათი არის სამართლით“ (ძეგლები, VII, 1981: 235).

სწორედ თავად აფხაზებსა და ვაჩნაძეებს შორის ჩამოვარდნილი ზემოხსენებული შუღლის მსხვერპლი გახდა ერეკლე II-ის ვაჟი - უფლისწული ლევანი (1756-1781), რომლის გარდაცვალების მიზეზიც ბოლომდე გაურკვეველი დარჩა.

ამ ფაქტის გამორკვევის პირველი მცდელობისას, უფლისწულის მკვლელობაში ბრალი დასდეს სრულიად უდანაშაულო თავადს შერმაზან აფხაზს, რომელიც ამ ნიადაგზე მისივე ყმებს მოაკვლევინეს. ამის მიუხედავად, თავად აფხაზთა დაჟინებული მოთხოვნით და მასში უშუალოდ მეფის ჩარევის შედეგად, აღნიშნული საქმის საგულდაგულო გამოძიებას შეუდგნენ.

1782 წლის 22 ივნისის განჩინების თანახმად, რომელიც დაამტკიცა თვით მეფე-დედოფალმა და კათოლიკოს-პატრიარქმა ანტონ I-მა, უკვე გარდაცვლილ შერმაზან აფხაზს ბრალდება მოუხსნეს და იგი უდანაშაულოდ სცნეს (ძეგლები, V, 1974: 181-185).

აფხაზთა გვარი „აფხაზისშვილის“ ფორმით იხსენიება 1783 წლის 24 ივლისს გეორგიევსკში დადებულ ტრაქტატს დართულ ქართველ თავადაზნაურთა სიაში (ბაგრატიონი, 1997: 142).

„ივერიაში“ გამოქვეყნებულ სტატიაში „თავადნი აფხაზნი (ანჩაბაძე-აფხაზნი)“ ვკითხულობთ: „თავად აფხაზთა გვარეულობა აღნიშნულია კახეთის თავადთა სიაში, იმ ტრაქტატთან ზედდართულში, რომელიც ხელშეკრულ იქმნა 24 ივლისს 1783 წ. რუსეთის მთავრობასთან მეფე ერეკლე II-ის მიერ. სამდივანბეგო გარდაწყვეტილებაში, რომელიც მეფე ერეკლე II-ის მიერ დამტკიცებულია 1 აგვისტოს 1788 წ., ნიკოლოზ აფხაზი (გიორგი ანჩაბაძე-აფხაზის ძე, V თაობის შთამომავალი) თავადად იქმნა წოდებული“ (ივერია, 1895, N257, გვ. 2).

თავად აფხაზთა საგვარეულო კიდევ უფრო დაწინაურდა ქართლ-კახეთში გიორგი XII-ის მეფობის პერიოდში, რადგან მათ მეფე მფარველობას და წყალობას არ აკლებდა.

1800 წლის 9 მარტს, თავადმა ნიკოლოზ აფხაზმა მეფე გიორგი XII-ს წარუდგინა არზა დაფანტული ყმების თაობაზე, რომლებსაც ქართლელი აზნაური ფურცელაძე ეპატრონებოდა. ვინაიდან ფურცელაძე იყო საბატონო აზნაური უფლისწულ იულონისა, მას მისმა ნახევარძმამ – გიორგი XII-მ მისწერა: „ქ. უგანათლებულესო ძმაო, ბატონო იულონ! ამ არზით ნიკოლოზ აფხაზი ასე რომ ჩივის, ამას კურთხეულის მამის ჩვენისაგანა ყავს ნაბოძები ეს კაცნი და სამართლიანის გზით თქვენ ნუ წაართმევინებთ ამავ კაცს“ (ძეგლები, VIII, 1985: 612).

თავად აფხაზთა საგვარეულოს მფარველობდა ტახტის მემკვიდრე უფლისწული დავითიც (1767-1819), რომელიც გვირგვინოსანი მამის გიორგი XII-ის გარდაცვალების (1800 წლის 28 დეკემბერი) შემდეგ, თითქმის ხუთი თვის განმავლობაში ქართლ-კახეთის სამეფოს გამგებელი იყო.

1800 წლის 23 მაისს უფლისწულმა დავითმა ვაჩნაძეებთან სამამულო დავაში გაამართლა ნინია (ივანე) აფხაზი და მის არზას ოქმის ბოძების თაობაზე ასეთი რეზოლუცია დაადო: „ნინია აფხაზიშვილს ამ არზით რომ ასე მოუხსენებია, ნინია ეშიკაღაბაშისაგანაც მოგვხსენდა, ამ მამულთან საქმე არავისა აქვს, დარჩა ნინია აფხაზისშვილს“ (ძეგლები, VIII, 1985: 643).

თავად აფხაზთა საგვარეულო ასევე დაწინაურებული იყო რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგაც.

1826 წლის 7 მარტს, რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებით, თავადის წოდება დაუმტკიცეს ივანე შერმაზანის ძე აფხაზს და მის ვაჟებს: დავითს, შერმაზანსა და დიმიტრის.

1827 წლის 2 ნოემბერს საიმპერიო სახელმწიფო საბჭომ თავადის წოდება დაუმტკიცა ივანე, გიორგი (შანშე) და ანტონ ნიკოლოზის ძეს აფხაზებს.

რუსეთის საიმპერიო სენატის 1841 წლის 13 თებერვლის, 1851 წლის 30 აპრილის, 1860 წლის 8 აგვისტოს და 1868 წლის 23 ოქტომბრის დადგენილებებით, თავადის წოდება დაუმტკიცეს ალექსანდრე შერმაზანის ძე აფხაზს და მისი შვილებს - გრიგოლს და სვიმონს, ასევე, ალექსანდრე დიმიტრის ძე აფხაზს (ივერია, 1895, 257: 2).

დასკვნა. აფხაზთა საგვარეულოდან არაერთი სახელოვანი ოფიცერი გამოვიდა. ამ გვარის წარმომადგენლები მოღვაწეობდნენ როგორც სამხედრო, ასევე საერო ასპარეზზედაც (ბერძნიშვილი, 1980: 158-166). მათ შორის იყვნენ: თუშ-ფშავ-ხევსურეთის მოურავი, მაიორი იოანე შერმაზანის ძე (?-1847); შტაბს-კაპიტანი გიორგი ნიკოლოზის ძე (1796-1826); შტაბს-კაპიტანი, ტიტულარული მრჩეველი დავით იოანეს ძე (1796-?); პრაპორშჩიკი შერმაზან იოანეს ძე (1798-1830); პოდპორუჩიკი ანტონ ნიკოლოზის ძე (1805-1837); პოდპოლკოვნიკი ალექსანდრე შერმაზანის ძე (1823-?); ილია ჭავჭავაძის ყვარლის მამულების მეთვალყურე, მისი დისწული გრიგოლ ნიკოლოზის ძე (1854-1876); სახელმწიფო მრჩეველი ივანე დიმიტრის ძე (1863-1921); იტალიაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსული გიორგი გიორგის ძე (1892-1964), რომელიც შემდეგ რომის ოპერის თეატრის მხატვარ-დეკორატორად მუშაობდა; გერმანიაში 1938 წლიდან არსებული „ქართული სათათბიროს“ ხელმძღვანელი ალექსანდრე გიორგის ძე (1893-1957); საფრანგეთის უცხოელთა ლეგიონის ოფიცერი, ადვოკატი ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე (1899-1987) და სხვ.

თავად აფხაზთა შორის იყო სამი გენერალი, რაც ამ მცირერიცხოვანი გვარისათვის უდავოდ საამაყოა. მათ შორის იყვნენ: ივანე ნიკოლოზის ძე (1785-1831); დავით ილიას ძე (1866-1918) და კონსტანტინე (კოტე) ნიკოლოზის ძე (1867-1923).

მათგან განსაკუთრებული ავტორიტეტი მოიპოვა გენერალმა კონსტანტინე აფხაზმა, რომელიც 1913-1917 წლებში თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი (მარშალი) იყო, ხოლო შემდეგ მოღვაწეობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოებში, რომელსაც ჯერ ეროვნული საბჭო, შემდეგ კი - პარლამენტი ეწოდებოდა. 1923 წელს ის დააპატიმრა და დახვრიტა საქართველოს ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ.

XX საუკუნის ოციანი წლებიდან საქართველოში განვითარებული პოლიტიკური პროცესების შედეგად, თავად აფხაზთა გვარის არაერთი წარმომადგენელი იძულებული გახდა, რომ სამშობლო დაეტოვებინა და უცხოეთში გახიზნულიყო.

ამჟამად საქართველოში ცხოვრობს თავად აფხაზთა შთამომავლების სამი ოჯახი, მათ შორის, ნიკოლოზ ირაკლის ძე აფხაზის (დაბ. 1941 წ.), მისი ვაჟის - ირაკლი ნიკოლოზის ძე აფხაზისა (დაბ. 1961 წ.) და ძმისწულის - დავით თენგიზის ძე აფხაზის (დაბ. 1974 წ.) ოჯახები.

ამრიგად, საქართველოს ერთ-ერთი წარჩინებული ფეოდალური საგვარეულოს - თავად აფხაზთა გვარი სათავეს იღებს აფხაზეთის თავად ანჩაბაძეთა საგვარეულოდან, რომლის ფუძემდებელიც კახეთში XVII საუკუნის შუა ხანებში დამკვიდრდა. ამ გვარიდან არაერთი ღირსეული ქართველი სახელმწიფო, პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე გამოვიდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

ანჩაბაძე (2009): გიორგი ანჩაბაძე, ქართველები და აფხაზები: ისტორია და თანამედროვეობა, თბილისი;

ბაგრატიონი (1997): იოანე ბაგრატიონი, შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა (მასალა ისტორიისათვის), ზ. კაცელაშვილის გამოცემა, თბილისი;

ბატონიშვილი (1973): ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგნ.: „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბილისი;

ბერძნიშვილი (1980): ბერძნიშვილი მაქსიმე, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, ტ. I, ქართული საზოგადოებრიობა 1833-1844 წლებში; მასალები ბიოგრაფიული ლექსიკონისათვის (ა-ე), თბილისი;

გვრიტიშვილი (1955): გვრიტიშვილი დავით, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები), თბილისი;

თაყაიშვილი (1909): საქართველოს სიძველენი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტ. II, ტფილისი;

ლექსიკონი I (1991): პირთა ანოტირებული ლექსიკონი, XI-XVII საუკუნეების ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით, ტ. I, გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ე. ცაგარეიშვილმა, გ. ჯანდიერმა, თბილისი;

ლექსიკონი II (1993): პირთა ანოტირებული ლექსიკონი, XI-XVII საუკუნეების ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით, ტ. II, გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა და მ. სურგულაძემ, თბილისი;

ორბელიანი (1981): პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელენე ცაგარეიშვილმა, თბილისი;

ჟორდანია (1997): ოთარ ჟორდანია, აფხაზი ივანე ნიკოლოზის ძე, ენციკლოპედია „საქართველო“, ტ. I, თბილისი;

საბუთები (2008): ერეკლე II-ის მიერ გაცემული საბუთები (1736-1797 წლები), საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის გამოცემა, შეადგინა მ. ჭუმბურიძემ, თბილისი;

საითიძე (1997): გელა საითიძე, სწამდა სამშობლოს აღორძინება (გენერალი კონსტანტინე აფხაზი), თბილისი;

საითიძე (2008): გელა საითიძე, გენერალი კოტე აფხაზი (ქართული მხედრობის ღირსეული წარმომადგენელი), თბილისი;

სიდამონიძე, (1997): უშანგი სიდამონიძე, აფხაზი კონსტანტინე/კოტე ნიკოლოზის ძე, ენციკლოპედია „საქართველო“, ტ. I, თბილისი;

შარვაშიძე (1946): გიორგი შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, ს. ჯანაშიას რედაქციითა და ნარკვევით, სოხუმი;

ძეგლები, IV (1972): ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბილისი;

ძეგლები, V (1974): ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, სასამართლო განჩინებანი (XVIII ს.), ტექსტები გამოსცა და შენიშვნები დაურთო ი. დოლიძემ, თბილისი;

ძეგლები VI (1977): ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, სასამართლო განჩინებანი (XVIII-XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბილისი;

ძეგლები, VII (1981): ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, საერო სასამართლო არზა-ოქმები, ტექსტები გამოსცა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ი. დოლიძემ, თბილისი;

ძეგლები, VIII (1985): ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, სასამართლო არზა-ოქმები და კერძო-სამართლებრივი აქტები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო ი. დოლიძემ, თბილისი;

ჭურღულია (1983): ოთარ ჭურღულია, ნარკვევები ქართულ-აფხაზური კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობიდან, წიგნი II, სოხუმი;

ჯანელიძე (2018): ოთარ ჯანელიძე, აფხაზი კონსტანტინე ნიკოლოზის ძე, ენციკლოპედია - ლექსიკონი„საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921)“, თბილისი;

ჯავახიშვილი (2009): ნიკო ჯავახიშვილი, თავად აფხაზათა საგვარეულოს ისტორიისათვის, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების სამეცნიერო შრომათა კრებული „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, ტ. VI, თბილისი;

Думин, Гребельский (1998): Думин С., Гребельский П., Дворянские роды Российской империи, т. IV, Князья Царства Грузинского, под редакцией С.Думина и Ю. Чиковани, Москва,1998;

Джавахишвили (2003): Джавахишвили Н.,Грузины под российским флагом (Грузинские военные и государственные деятели на службе России в 1703-1917 гг.), Тбилиси, 2003;

Грузинские дворянские акты (1893): Грузинские дворянские акты и родословные росписи (материалы для истории Грузии), Издание с предисловием и примечаниями А. С. Хаханова, Москва, 1893;

Чиковани (2007): Чиковани Ю., Род Абхазских Князей Шервашидзе (Историко-генеалогическое исследование), Тбилиси, 2007;

კორნელი კეკელიძის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდები:

ხეც, ევგენი ვეიდენბაუმის კარტოთეკა, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ევგენი ვეიდენბაუმის კარტოთეკა;

ხეც, საბუთი Qდ -1653, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, საბუთი Qდ -1653;

ხეც საბუთი Sd-748, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, საბუთი Sd-748;

ხეც, საბუთი Hd-2286, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, საბუთი Hd-2286;

ხეც, საბუთი Hd-142, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, საბუთი Hd-142;

ხეც, საბუთი Sd-562, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, საბუთი Sd-562.

პერიოდიკა

ივერია, 1892, N121: გაზეთი „ივერია”, 1892, 12 ივნისი, #121;

ივერია, 1895, N257: გაზეთი „ივერია“, 1895, 28 ნოემბერი, #257.